



საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი, #99, ტელ: (+995-32) 116 001; ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; ვებ.გვერდი: www.ncdc.ge
99, Kakheti Highway, Tbilisi, 0198, Georgia, Phone: (+995-32) 116 001; E-mail: ncdc@ncdc.ge; Web: www.ncdc.ge

ქალაქ ქუთაისის გენერალური გეგმის კონცეფციის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანაგრიშზე დასკვნა

დამგეგმავი ორგანო: ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

შემსრულებლი საკონსულტაციო ორგანიზაცია: შპს „დისტანციური ზონდირებისა
და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი“

სგშ-ს მომზადებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია: შპს „დისტანციური
ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი
გეოგრაფიკი“

პროექტის მოკლე აღწერილობა: ქ. ქუთაისის გენერალური გეგმის კონცეფციის
პროექტის მიზანია 2040 წლისთვის ქალაქი გახდეს ევროპის კარიბჭე, დასავლეთ
საქართველოს ცენტრი, ცოდნის სინერგიული ქალაქი და ეკო-ქალაქი.

სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის პროექტის შინაარსიდან გამომდინარე,
დაგეგმარებას ექვემდებარება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ
საზღვრებში მოქცეული მთელი ტერიტორია.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისი დაყოფილია სამ ძირითად მულტიფუნქციურ
ცენტრად: ისტორიულ-კულტურული ცენტრი; ადმინისტრაციული ცენტრი და
საგანმანათლებლო-ტექნოლოგიური ცენტრი.

„ქ. ქუთაისის განვითარების ხედვა, განვითარების სტრატეგია და
სიცოცხლისუნარიანობის შეფასება და გენერალური გეგმის კონცეფციის“
დოკუმენტი განიხილავს სამ აღტერნატივას.

ქ. ქუთაისის გენერალურ გეგმაში განხორციელდა გავლენის შეფასება იმ
ფაქტორებზე, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენს
საზოგადოებრივ ჯანმრთლობაზე. ეს ფაქტორებია:

- ჯანსაღი ცხოვრების წესი.
- სოციალური დაცულობა (უსაფრთხო საფეხმავალო გადასასვლელი, დაბალი
მოძრაობის სიჩქარე საცხოვრებელი ადგილების მიმდებარედ, ხმაურის შემცირება,
ქუჩის განათება).

- საცხოვრებლის ხარისხი (გარემო, სამშენებლო მასალები, საცხოვრებლის განლაგება, შენობის ორიენტაცია მზის პირდაპირი სხივების შესაბამისად და ა.შ.).
- სამუშაო და განათლება, საყოფაცხოვრებო მომსახურების (აფთიაქი, მაღაზიები, ბანკები და ა.შ.) ხელმისაწვდომობა და წვდომა.
- უსაფრთხოება (საფეხმალო ბილიკების პასიური დაკვირვება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაცია, ტერიტორიის დასუფთავება).
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ზოგადი სურათი (ჰაერის დაბინძურების წყაროებში, ე.ი. საგზაო ტრანსპორტი, მწვანე ტერიტორიების განვითარება, ხმაურის შემცირების ღონისძიებების განხორციელება).
- წყლის მოხმარება და ჩამდინარე წყლები.
- ნიადაგის ხარისხი (დაბინძურების გაწმენდა, მწვანე ტერიტორიების შენარჩუნება).
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების აღწერა და გავლენის მნიშვნელობის შეფასება, რისკ-ფაქტორების ზემოქმედებით დაზარალებული ტერიტორიების და უბნების იდენტიფიცირება.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეების საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინება.
- მონიტორინგი, შეფასება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.

მნიშვნელოვანია საქართველოში მოქმედი „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილების და „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად ტერიტორიის განაშენიანების დროს სხვადასხვა ინტენსივობის მქონე საცხოვრებელ ზონებში გათვალისწინებულია თუ არა სარეკრეაციო სივრცეები, ჯანდაცვის და სპორტული ობიექტები, სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულებები, ხომ არ არის დარღვეული შესაბამისი ზონირების პრინციპი და განთავსებულია ობიექტი, რომელიც ზიანს აყენებს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას, ან/და განთავსებულია სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს. გასათვლისწინებელია, რომ წლების მანძილზე არაერთი ფაქტობრივი მასალა დაგროვდა, რომელიც მოწმობს მართებულად დაგეგმილი საერთო სარგებლობის ხელოვნური სარეკრეაციო ზონების და გამწვანების შემთხვევებში, მოქალაქეებს სრულყოფილად შეუძლიათ ისარგებლონ სპორტული და გამაჯანსაღებელი ობიექტების ქსელის შესაძლებლობებით, შესაბამისად დაცულნი იქნენ სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო და სარეკრეაციო სივრცესთან არსებული საფრთხეებისგან. ზემოაღნიშნული დეტალური შეფასება, რომელიც არ არის წარმოდგენილი, საშუალებას მოგვცემდა გავაანალიზოთ, როგორია ხელმისაწვდომობა:

- საერთო სარგებლობის მწვანე სარეკრეაციო არეალებზე;
- სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე და შესაბამისობა მოქმედ ნორმატიულ დოკუმენტების მოთხოვნებთან, ნაკვეთებისა და ღია სპორტული მოედნების შესახებ, რა საჭიროებები გამოიკვეთა და უბნებში არსებული ტერიტორიული რესურსი, როგორც არსებული სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულებების გაფართოებისათვის, ასევე ახალის შექმნისათვის.
- არ არის ინფორმაცია წარმოდგენილი და მოძიებული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის შესახებ. არ არის აღწერილი როგორია ქ. ქუთაისში არამარტო წყალმომარაგებითა და საკანალიზაციო ქსელით უზრუნველყოფის, არამედ რა გავლენას მოახდენს ახალი განაშენიანებული ტერიტორიები ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხზე დაბინძურების მხრივ. წარმოდგენილ პროექტს უნდა დაემატოს მოსახლეობის წყალმომარაგების საკითხის შესწავლა (წყალმომარაგების ტიპები, სასმელი წყლის ხარისხი, უწყვეტობა, ხელმისაწვდომობა, სასმელი წყლის დაბინძურება, მონიტორინგი და სხვა), მისი გაფართოების შესაძლებლობა განაშენიანების ახალ ტერიტორიებზე ნებისმიერ ალტერნატივაში. აյ ხაზი უნდა გაესვას განსაკუთრებით სასმელი წყლის ზეგავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, წყლის ფაქტორთან დაკავშირებული დაავადებების გავრცელების გამო. არასათანადო ხელმისაწვდომობა ხარისხიანი და უსაფრთხო სასმელი წყლისადმი, ასევე განაპირობებს მნიშვნელოვან უთანაბრობას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით და ბარიერს სიღარიბის აღმოსაფხვრელად. მიზანშეწონილია, შესწავლილ იქნეს დეტალურად ქ. ქუთაისის მოსახლეობის ხარისხიანი და უწყვეტი სასმელი წყალმომარაგებით უზრუნველყოფის არსებული საბაზისო დონე, დაიგეგმოს გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსი და გეგმის ამოქმედების მონიტორინგის ინდიკატორები.
- საერთოდ არ არის აღწერილი ამ ეტაპზე რა მდგომარეობაშია ქალაქის სანიაღვრე საკანალიზაციო სისტემები.

მიზანშეწონილია, სკოინგის დასკვნაში მოწოდებული შენიშვნები აისახოს სტრატეგიულ დოკუმენტში.

ფიზიკური აქტივობა, უტედური შემთხვევები და ტრავმები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა ისეთი არაგადამდები დაავადებების მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს წარმოადგენს, როგორიცაა ინსულტი, დიაბეტი, სიმსივნეები. სულ უფრო და უფრო იკლებს ფიზიკური აქტივობა ბევრ ქვეყანაში.

სკოინგის დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ქ. ქუთაისისთვის მწვანე საფარის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე 16.4 მ²-ს

შეადგენს, ჯანმოს რეკომენდაციით კი იდეალურია 50 მ² ფართობის მქონე მწვანე სივრცე ერთ სულ მოსახლეზე. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია პროექტში გათვალისწინებულ იქნეს მწვანე საერთო სარგებლობის საზოგადოებრივ ადგილებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, სარეკრეაციო ზონების გაფართოება და სპორტული ობიექტების მშენებლობა, ბუნებაზე დაფუძნებული მიდგომების გათვალისწინებით.

საქართველოში, სხეულის დაზიანება სიკვდილის რიგით მეოთხე მიზეზს წარმოადგენს. ზოგადად დაზიანებათა სტრუქტურაში საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ეკოლოგიურად უსაფრთხო გადაადგილებას განსაკუთრებით ფეხით სიარულსა და საველოსიპედო მოძრაობას, საზოგადოებრივ ტრანსპორტს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, ამ საშუალებათა შეხამების, როგორც დაგეგმვის, ძირითადი ამოცანის სახით განხილვას.

იმისათვის, რომ ქუთაისი გადაიქცეს ეკო-ქალაქად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საყოველთაო ხელმისაწვდომობა უსაფრთხო, ინკლუზიურ, ხელმისაწვდომ, მწვანე და საზოგადოებრივ ადგილებთან, განსაკუთრებით ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

დასაქმება

წარმოდგნილ საპროექტო დოკუმენტში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია ქ. ქუთაისში დასაქმების მაჩვენებლების შესახებ.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, უმუშევრობა ასოცირებულია ავადობის რისკის გაორმაგებასთან და 60%-ით ნაკლებია გამოჯანმრთელების ალბათობა. უმუშევრობა ძლიერ კორელაციაშია თამბაქოს, ალკოჰოლის ჭარბ მოხმარებასთან, ღვიძლის ციროზთან, წყლულოვან დაავადებებთან, ფსიქიკურ დარღვევებთან და ხელს უწყობს სუიციდის შემთხვევების ზრდას. დასაქმების აქტიური პოლიტიკა და მიზანმიმართული სოციალური დაცვის სისტემა ამცირებს უმუშევრობის გვერდით მოვლენებს.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ხედვაში წარმოდგენილი იყოს მოსაზრებები განაშენიანების განხორციელების განმავლობაში და ასევე, მისი დასრულების შემდეგ ქ. ქუთაისში მაცხოვრებელთათვის დასაქმების ადგილების მოწყობის შესახებ.

ქ. ქუთაისის გენერალური გეგმის კონცეფციის პროექტის მიზნებთან შესაბამისად, ქუთაისი არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ გეოგრაფიულ ერთეული (როგორც მხოლოდ იმერეთის რეგიონალური ცენტრი), არამედ მივაქციოთ ყურადღება მას, როგორც ისტორიულ, ინტელექტუალურ, კლტურულ და ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური ზრდის დასაყრდენს. შესაბამისად, ქუთაისი უნდა გახდეს

ტურისტული ჰაბი. ამ მიზნით შესაძლებელია "ოქროს საწმისის" ლეგენდის გამოყენება, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის თავთურცლადაც კი ითვლება¹. მნიშვნელოვანი იქნება დაიგეგმოს ტერიტორიის განვითარების და დაგეგმარების ეტაპზე ერთიანი მონუმენტი არქიტექტურული ანსამბლის სახით, რომელიც დღემდე არ არსებობს ქ. ქუთაისში, რითაც კიდევ ერთხელ წარმოჩინდება ქუთაისის კავშირი უძველეს ცივილიზაციასთან და ანტიკური კულტურის ფესვებთან². ქ. ქუთაისი მსოფლიოს უძველესი ქალაქების ხუთეულშია, რაც მოითხოვს მეტი ყურადღება დაეთმოს ქალაქის ტურისტულ ჰაბად გადაქცევას.

აღსანიშნავია, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, როგორც კერძო, ასევე სასტუმროების სექტორის განვითარება შესაძლებელს გახდის მაღალი, საშუალო და დაბალი კლასის ტურისტების განთავსებას ქ. ქუთაისში, უახლოეს მომავალში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის დარგში ერთეულ მოსახლეზე გენერირებულ შემოსავალს და ადამიანთა დასაქმებას. რაც თავის მხრივ ასევე გამოიწვევს „სათავგადასავლო“, „გასტრონომიული“, „ლვინის“, „კულტურული“, „ეკო-ტურიზმის“ და მიმდებარე სოფლებშო „სოფლად ტურიზმის“ განვითარებას და რეგიონში მოსახლეობის დასაქმებას.

ხმაური

პროექტში აღნიშნულია, რომ ხმაურის და ვიბრაციის წარმოქმნა შესაძლებელია განაშენიანების შედეგად გაჩნდეს დასახლებულ ტერიტორიაზე, რაც შესაბამისად წარმოადგენს ხმაურის წარმოქმნის წყაროს. ხმაურის მაღალი ინტენსივობის წარმოქმნა, აგრეთვე დაკავშირებული იქნება ქალაქში განთავსებულ სამრეწველო ობიექტებთან, მათი ზრდა ხმაურის დონის მატებას გამოიწვევს, რაც შემდგომში ნებატიურად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, რადგან ხმაური მოქმედებს მთელ ორგანიზმზე და სპეციფიკური დაზიანების გარდა, შეიძლება გამოიწვიოს ზოგადი ხასიათის ცვლილებებიც. ხმაურის ჩახშობის მიზნით გენერალურ გეგმაში უნდა აისახოს მწვანე სივრცეებით მიმდებარე ტერიტორიის გამიჯვნა.

¹ ქუთაისი, როგორც კოლხეთის დედაქალაქი. ამ საკითხზე მეცნიერთა მსჯელობა და განსხვავებული აზრი არსებობს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქ. შ.-მდე IV საუკუნის ბერძენ ავტორს ფსევდო სკილაქს კარიანდელს კოლხეთის დედაქალაქი ეგულება დღევანდელი ქუთაისის ადგილზე, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა სახელით მოიხსენიება: კუტაისა, კვატაისა, აია. იასონი და არგონავტები ჩამოსულები კოლხეთში, „არგონავტიკა“ მოგვითხრობს მითს არგონავტების მოგზაურობის შესახებ, ოქროს საწმისის მოპოვების მიზნით. ეს ფერწერა განთავსებულია ვერსალის სასახლეში.

² ოქროს საწმისისა და კოლხეთის, მედეას და სხვა პერსონაჟების მონუმენტის ერთიანი ანსამბლი შესაძლებელია განხილულ იქნეს რომის უდიდესი „ტრევის შადრევანის“ მასშტაბით, როგორც მარადიული ძველები ქალაქის -რომის სიმბოლოდაცაა მიჩნეული. შადრევნის სანახავად ყოველწლიურად რომს 4 მილიონზე მეტი ტურისტი სტუმრობს.

სათანადო კვლევების ჩატარების და შედეგების გაანალიზების შემდეგ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ხმაურის არასასურველი გავლენის შემცირებისათვის უნდა დაიგეგმოს ან გამოყენებულ იქნას შემდეგი სახის ღონისძიებები:

- ხმაურის წყაროს საინჟინრო-ტექნიკური და ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული ღონისძიებები;
- ხმაურისაგან დაცვის ობიექტზე შენობის კონსტრუქციების ხმაურსაიზოლაციო თვისებების გაზრდის კონსტრუქციულ-სამშენებლო მეთოდები და გეგმარებითი მეთოდები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჩატარდეს ქ. ქუთაისში ხმაურის გაზომვა, შეფასება და დაიგეგმოს შემცირების ღონისძიებები „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის N 398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობის შეფასება წარმოდგენილ პროექტში ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან ქ. ქუთაისის რელიეფური პირობები, სატრანსპორტო მაგისტრალები, შიდასაქალაქო სატრანსპორტო კავშირები, ინდუსტრიული მრეწველობის სექტორი იწვევს მავნე ნივთიერებებით ქალაქის დაბინძურებას, რამაც შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას.

აღსანიშნავია, რომ ქ. ქუთაისში, როგორც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე იზომება ატმოსფერულ ჰაერში არსებული მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები: მყარი ნაწილაკები (PM10 და PM2.5), გოგირდის დიოქსიდი (SO2), აზოტის დიოქსიდი (NO2), ოზონი (O3) და ნახშირბადის მონოქსიდი (CO). ქალაქის ტერიტორიის ზრდამ, მოსახლეობის სიმჭიდროვემ და ეკონომიკური აქტივობების გააქტიურებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლების ზრდა, რაც საჭიროებს მონიტორინგის მონაცემების განახლებას. მიზანშეწონილია, სამომავლოდაც დაიგეგმოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგი და ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების შემარბილებელი ღონისძიებები.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ პროექტში დეტალურად არ არის გაანალიზებული რა ტიპის საწვავი გამოიყენება შინამეურნეობებში საკვების მომზადების და გათბობის მიზნით. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში მაღალია შენობისშიდა ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლი და ერთ-ერთ უმთავრეს რისკ-ფაქტორს წარმოადგენს ჯანმრთელობისათვის, განსაკუთრებით ბავშვებისა და

ქალებისათვის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ საკითხის დეტალური ასახვა პროექტში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქ. ქუთაისის ერთ-ერთი მისია ეკო ქალაქად გადაქცევაა, ამ კუთხით მნიშვნელოვანია „მწვანე ქალაქის“ კონცეფციის დანერგვა და ენერგოეფექტურობის პრინციპებზე გადასვლა.

კლიმატის ცვლილება

მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე არსებობს კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების შეფასება იმერეთის რეგიონში, კერძოდ ქ. ქუთაისისთვის. ასევე, შემუშავებულია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევი. კლიმატის ცვლილების ზემოქმედებებიდან ქ. ქუთაისისთვის მნიშვნელოვანი საკითხებია წარმოდგენილი: თბური ტალღები და შეცვლილი ინფექციური ფონი. აღნიშნულია კვლევების უფრო სიღრმისეული ჩატარების აუცილებლობა სპეციფიკურად თბური ტალღების მიმართულებით და სამომავლო პროგნოზი. მნიშვნელოვანია რომ თბური ტალღების ადაპტაციის სამოქმედო გეგმის შემუშავება ქ. ქუთაისისთვის მოხდეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

დოკუმენტში ასახულია ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების რისკის ზრდა, სადაც აღნიშნულია კლიმატის ცვლილების და საშუალო ტემპერატურის ზრდის ზემოქმედების პირობებში, ბუნებრივი და ადამიანის მიერ გამოწვეული საფრთხეების პრევენციის, შემცირების და მართვის მნიშვნელობა, როგორებიცაა: წყლისმიერი ეროზია, მეწყერები, ღვარცოფები, წყალდიდობები, წყალმოვარდნები. აღნიშნულია, რომ არსებობს კვლევების საჭიროება მდ. რიონში კუნძულების რეკრეაციული თვალსაზრისით გამოყენების მიზნით, რადგან ეს არეალი ითვლება მაღალი წყალდიდობის რისკის მქონე არეალად.

ჩამოთვლილი ღონისძიებები მოიცავს:

- თბური ტალღების ზეგავლენის დეტალურ ანალიზს თბური ინდექსის გამოყენებით (აწყო, სამომავლო პროგნოზი);
- მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდას;
- თბური ტალღებისადმი ადაპტაციის სამოქმედო გეგმის შემუშავებას;
- წინასწარი შეტყობინების სამსახურის ჩამოყალიბებას.

ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის პროექტის „საბაზისო კვლევების“ ნაწილში, აღნიშნულია, რომ მონაცემების მოძიება სხვა ფაქტორებთან ერთად მოხდება წყლის, კლიმატური ფაქტორების, გეოფაქტორების, ადამიანის ჯანმრთელობისა და სხვა ფაქტორების შესახებ. ხოლო კონკრეტული საბაზისო კვლევებიდან, კონკრეტულადაა ჩამოთვლილი, ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან რა კვლევები უნდა იყოს წარმოდგენილი.

კერძოდ, დოკუმენტში ჩამოთვლილი გეოსაფრთხეებთან დაკავშირებით კვლევები უნდა მოიცავდეს:

- გეოლოგიური პირობების შესახებ განახლებულ მონაცემებზე დაყრდნობით ფონური მდგომარეობის აღწერას, როგორც ბუნებრივი პირობების, ისე მზარდი ანთროპოგენული წნების ზეგავლენით მიმდინარე ცვლილებების გამო; ქალაქის საფრთხეების ზონირების მსხვილმასშტაბიანი რუკის შედგენას, რომელიც გვიჩვენებს: გეოლოგიურ (მეწყერი, ღვარცოფი და ქვათაცვენა) და ჰიდროლოგიურ (წყალდიდობა, წყალმოვარდნა) საფრთხეებს. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე ინტეგრალური, მრავალსაფრთხიანი (multihazards) რუკების სახით და საჭირო დაცვითი მექანიზმების გადაწყვეტით.

ჰიდროლოგიური კვლევებიდან, წარმოსადგენი კველევათა ჩამონათვალი შემდეგია:

- დატბორვის ზონების განსაზღვრა და მართვა ქ. ქუთაისის საზღვრებში, სავარაუდო დატბორვის არეალების განსაზღვრა.

კლიმატის ცვლილებებით გამოწვეულ ზემოქმედებებთან დაკავშირებული განსახორციელებელი კვლევებია:

- გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული სტიქიური მოვლენების სიხშირისა და სიძლიერის გაზრდა, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება.
- კლიმატის ცვლილების ზემოქმედებების ზოგადი შეფასება.
- კლიმატის ცვლილებებზე რეაგირება გეგმარებითი გადაწყვეტილების მეშვეობით.
- კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასება ქალაქზე.
- „სითბური კუნძულების“ გამოვლენა.

წყლის რესურსებისა და ხარისხის მიმართულებით წარმოსადგენი მონაცემები/კვლევებია:

- მდ. რიონში ნაპირების გამაგრების და კალაპოტში სამუშაოების ზემოქმედება გარემოზე.
- მდინარის კალაპოტის და დატბორვის არეალების ათვისების რისკები, ზემოქმედება.

რეკომენდებულია აღნიშნული სპეციფიკური კვლევების განხორციელება სგშ-ს მომზადების პროცესში.

ამასთანავე, ზემოაღნიშნული რისკების იდენტიფიცირება გულდასმით უნდა მოხდეს და შემოთავაზებული იქნეს სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები, რათა აღნიშნული რისკების ზემოქმედება მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ან აღმოფხვრილი.

ქ. ქუთაისის ქალაქებებითი კონცეფციის კონტექტში გეო-საფრთხეების გენერალური შეფასებისა და კონცეპტუალური ზონირების შემუშავების მიზნით, გაანალიზდა ეგზოგენური ხასიათის პროცესები და მათთან დაკავშირებული მოვლენები (მეწყრები, ღვარცოფები, ეროზია, ჩამონაშლები, ქვათაცვენები, კლდეზვავები, კარსტი, სუფოზია, წყალდიდობები და წყალმოვარდნები). ანალიზის საფუძველზე გამოიყო ეგზოდინამიკური პროცესების სავარაუდო გამოვლინების კუმულატიური საშიშროების სამი (მაღალი, საშუალო და დაბალი) ზონა. წარმოდგენილი ზონირება მნიშვნელოვანია, რადგან საყურადღებოა მაღალი და საშუალო კუმულატიოური ზონები, სადაც მაღალია წყლით დატბორვის ალბათობა.

ზოგადად, ჩამოთვლილი კვლევებისა და მონაცემების ორგანიზება უნდა მოხდეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით და მაღალი სანდოობით, რათა ზუსტად შეფასდეს მოსახლოდნელი ზემოქმედების დონე ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და შესაბამისად დაიგეგმოს ის კონკრეტული შემარბილებელი ან პრევენციული ღონისძიებები, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას მაქსიმალურად დაიცავს.

ინფრომაცია რადიაციული ფონის და რადიოაქტიური ობიექტების შესახებ

„ქალაქ ქუთაისის გენერალური გეგმის კონცეფციის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის პროექტის“ ქ. ქუთაისის გეგმარებით ტერიტორიაზე რადიაციული მიმართულებით მოწოდებული ინფრომაცია ზოგადია, რომ გარემოს ეროვნული სააგანტოს მიერ განხორციელებული გაზომვების შედეგად რადიაციული ფონი ნორმის ფარგლებშია (გვ. 39), თუმცა განაშენიანებისა და მშენებლობების (განსაკუთრებით მაღალსართულიანი შენობების მშენებლობა) განხორციელების შემდეგ დოკუმენტი არ იძლევა ინფრომაციას, შესაძლებელია თუ არა რადიაციული ფონის მომატება პროგნოზული მაჩვენებლების გათვლებით. განაშენიანებისა და მშენებლობების დაწყებამდე სასურველია რადიაციული გაზომვების ჩატარება და შედარება ფონური მაჩვენებლების, რათა არ გამოიწვიოს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზღვრულად დასაშვები დონეების გადაჭარბება.

სკოპინგის ანგარიშისა და „ქალაქ ქუთაისის გენერალური გეგმის კონცეფციის, ძირითადი გეგმარებითი რეკომენდაციები ქ. ქუთაისის გენერალური გეგმისათვის“ დოკუმენტების თანახმად, ქ. ქუთაისში იგეგმება ციფრული ეკონომიკის განვითარება, რაც მძლავრ მაღალტექნოგლობიური სერვისების არსებობას

მოითხოვს, რაც თავის მხრივ დაკავშირებილია ელექტრო-მაგნიტური მოწყობილობებისა და გადამცემი ხაზების ინსტალაციასა და შესაბამისად, ელექტრო-მაგნიტურ გამოსხივებასთან დაკავშირებული საფრთხეების მომატებასთან და თანმხლები რისკების გაზრდასთან. აღნიშნული, გათვალისწინებულ უნდა იქნას განაშენიანებისა და მშენებლობის ეტაპზე, რათა ელექტრო-მაგნიტური გამოსხივების წარმომქმნელი წყაროები მაქსიმალურად იქნას დაშორებული დასახლებული ადგილებიდან და გათვალისწინებულ იქნას ელექტრო-მაგნიტური გამოსხივების ზღვრულად დასაშვები ნორმების დაცვა მანძილის, გამოსხივების შემაკავებელი და სხვა შემზღვდავი მეთოდებისა და პრაქტიკის გამოყენებით.

ნარჩენების მართვა

„ქალაქ ქუთაისის გენერალური გეგმის კონცეფციის პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის პროექტში“ მოწოდებულია ინფორმაცია ქ. ქუთაისში არსებული მდგომარეობით ნარჩენების მართვა როგორ ხდება და რა გამოწვევები არის ამჟამად (მაგ. თანამედროვე სტანდარტების ნაგავსაყრელი, ბრაუნფილდების გაწმენდა და სხვ.), რომელიც საჭიროებს გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით განვითარების ახალი კონცეფციის განხორციელების შემთხვევაში.

მოწოდებული ინფორმაციით, ქ. ქუთაისში ყოველწლიურად წარმოქმნილი მყარი მუნიციპალური ნარჩენები 75 000 ტონას შეადგენს (გვ37), რაც სავარაუდოდ გაიზრდება ქალაქის განაშენიანების ფონზე, განსაკუთრებით, ტურისტული ზონების დამატება/გააქტიურების შემდეგ. აღნიშნული აუცილებლად მოითხოვს ნარჩენების დეტალური გეგმების შემუშავებას და შესაბამისი მართვის სისტემის დანერგვას.

ბრაუნფილდების ათვისებისა და რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის შემთხვევაში, აუცილებელია თითოეული ასეთი ტერიტორიის/ობიექტის მშენებლობისა და განაშენიანების ეტაპზე ნარჩენების შესაბამისი გეგმის და მართვის სისტემის რაციონალურად შემუშავება/განხორციელება ყევლა ტიპის ნარჩენის წარმოქმნის და მართვის გათვალისწინებით. აუცილებელია განაშენიანების ეტაპზე ასეთი გეგმების და სქემების წარმოდგენა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიექცეს სახიფათო ნარჩენების, მ.შ. სამედიცინო ნარჩენების მართვას, დეკონტამინაციის მეთოდების და საბოლოო განთავსების პროცედურების გათვალისწინებით. ვინაიდან ქალაქის განვითარების პროექტის მიხედვით შესაძლებელია ჯანდაცვითი სერვისების ახალი ობიექტების დამატება და ძველების დატვირთვის გაზრდა, ეს გამოიწვევს სამედიცინო ნარჩენების, მ.შ. სახიფათო ნარჩენების მეტ წარმოქმნას, ამიტომ ქალაქის ნარჩენების

მართვის ახალ გეგმაში დეტალურად უნდა იქნას გათვალისწინებული ამ ტიპის ნარჩენების მართვა და განკარგვა.

დოკუმენტის მიხედვით, ციფრული ეკონომიკის განვითარებას თან სდევს ელექტრონული ხელსაწყოების/მოწყობილობებთან დაკავშირებული ნარჩენების გენერირება, რაც ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული ნარჩენების მართვის გეგმაში და შესაბამისი საპროგნოზო მაჩვენებლებით ამ ტიპის ნარჩენების მართვის გადაწყვეტილებები (სად, როგორ შეგროვდება, დასაწყობდება/ განთავსდება ან გადამუშავდება).

ერთ-ერთ დიდ გამოწვევად რჩება წყალარინები და ნარჩენი წყლების მართვა, რაც აუცლებლად დეტალურად უნდა იქნას გაწერილი ნარჩენების მართვის გეგმაში და რაც მთავარია, განაშენიანების/მშენებლობის ეტაპზე გათვალისწინებულ უნდა იქნას ისეთი სისტემების მოწყობა-დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს ნარჩენი წყლების გაუვნებელყოფას (მაგ. ნარჩენების გადამტვირთავი/გამასუფთავებელი ნაგებობების მოწყობა). შემდეგ ეტაპზე, სასურველია დეტალური ინფორმაციის მოწოდება ასეთი ტიპის ნაგებობები სად მოეწყობა, რა დატვირთვით იმუშავებს და ხელმისაწვდომობა როგორ იქნება უზრუნველყოფილი.

ვინაიდან ამჟამად მოქმედებს ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმა, აუცილებელია მომდევნო 5 წლის განმავლობაში ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას, როგორც განვითარების ეტაპზე, ასევე პროექტის ექსპლუატიის დროს წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გადაწყვეტილებები. პროექტის განვითარების დეტალური გეგმის ფარგლებში მოწოდებული უნდა იქნას ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე (მაგ. სამშენებლო ნარჩენების სეგრეგაციის, შეგროვების და გატანის შესახებ) და პროექტის ამოქმედების შემთხვევაში (მაგ. ტურისტულ ზონებში ნარჩენების რეგულირებისთვის ხელმისაწვდომი და ეფექტური გადაწყვეტილებები) ნარჩენების მართვის ცალკეული გადაწყვეტილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

სკოპინგის დასკვნა

წარმოდგენილი მასალების მიხედვით სკოპინგის დოკუმენტში არ არის შეფასებული სათანადოდ ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ძირითადი პრიორიტეტული რისკ-ფაქტორები და არ არის საკმარისი ინფორმაცია მოძიებული, როგორც არსებული სიტუაციის, პროგნოზირებისა და ალტერნატივების შესაფასებლად ქ. ქუთაისის საკვლევ ტერიტორიაზე.

სტრატეგიულ გარემოსდაცვითი შეფასების მოსამზადებლად, მოპოვებულ უნდა იქნეს სათანადო ინფორმაცია, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნორმატიულ

დოკუმენტებზე დაფუძნებული კვლევები და განახლებული მასალა წამოდგენილ
იქნეს შესაბამისი ფორმატით.

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის
დავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრის
გენერალური დირექტორი



ამირან გამყრელიძე